№34
ივნისი, 2016

112-ის დრმოით...

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 1 ივნისს შს მინისტრის მოადგილემ „112-ის გმირები" დაჯილდოვა..... 83.4-5

02 „112" პირველად სრული შემადგენლობით პოლიციელის დღეზე..... 83.6-8

03 „112"-ის ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა..... 83.9

04 შსს-მ სტუდენტებისთვის პარიერული განვითარების ფორუმი გამართა 83.10-11

05 „პოსმიური ხომალდის" წევრები სტუმრად „112"-ში 83.12

06 ბოსტონის აფეთქებებში ეჭვმიტანილი პირები irobot-ის დახმარებით დაიჭვეს 83.14

07 რობოტი C.R.A.B. 83.15

08 თერაპევტი ძალლები ორლანდოს ტერაქტში დაზარალებულებს დაეხმარნენ 83.16

09 7 წლის გოგონამ 911-ზე დარეკვით მამა გადაარჩინა 83.18

10 ბავშვმა 911-ზე დარეკა, რადგან ის სახლში მარტო დატოვეს 83.19

01

„112"-ის ახალი ინიციატივა ბავშვებისთვის - „112"-ის გმირები

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ამიერიდან, ყოველი წლის 1 ივნისს „112-ის გმირის" წოდებით დაჯილდოვდება ყველა ის ბავშვი, რომელმაც კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში და როგორ გაუწიოს ახლობელ ადამიანებს დროულად დახმარება.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, შს მინისტრის მოადგილე დავით ვარდიაშვილმა 4 მოზარდი „112-ის გმირის" წოდებით დაჯილდოვა. მან ბავშვებს „112"-ის ცენტრში უმასპინძლა და სპეციალურად მათთვის დამზადებული მედლები და სიგელები გადასცა.

„112-ის გმირებმა" საგანგებო სიტუაციების დროს, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს და ოპერატორებთან ყველა წესის დაცვით ითანამშრომლეს:

- 13 წლის გიორგი კოსტავამ „112"-ში მეგობრის დასახმარებლად დარეკა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა;
- 12 წლის ლიზი ჭუმსიაშვილმა, მეგობრის ორსულ დედას, შვილის ფეხიას დაზიანების ამბავი არ შეატყობინა, რომ არ ენერვიულა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა თავად გამოიძახა;
- 11 წლის დეა გელაძემ „112"-ში მიზნობრივი ზარი შეუძლოდ მყოფი ბებიის დასახმარებლად განახორციელა;
- 15 წლის ნინო ადამაშვილმა კი გადაუდებელი დახმარების ნომერზე ბოლნისიდან დარეკა და ოპერატორს თავის სახლთან ხის წაქცევის საშიშროების შესახებ აცნობა.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, ბავშვებმა „112"-ის ჭოლ-ცენტრი დაათვალიერეს და პირადად შეხვდნენ ოპერატორებს, რომლებიც მათ მძიმე წუთებში დაეხმარნენ.

02

112 პირველად სრული შემადგენლობით პოლიციელის დღეზე

2 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის პროფესიული დღე თბილისში აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები: ლიტვის, მოლდოვისა და ბელორუსის შინაგან საქმეთა მინისტრები, ასევე, სხვა ქვეყნების ოფიციალური პირები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა. მინისტრმა სამართალდამცავებს პროფესიული დღე მიულოცა და წარმატებები უსურვა. გიორგი მღებრიშვილმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას.

> *დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ ვიდგეთ ერთად და ჩვენი მისიის კეთილსინდისიერად შესრულებით, ჩვენი თავდადებით ხელი შევუწყოთ საქართველოს სტაბილურობასა და განვითარებას.*
>
> *ჩვენ გამოვუცხადეთ უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალს და ამ ბრძოლაში თითოე-*

ული თქვენგანის სულისკვეთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მე კარგად მესმის, რომ პოლიციელების ერთიანობის ძალას ალტერნატივა არ აქვს. სწორედ ამიტომ, მსოფლიო გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული როლი ენიჭება საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობას. ამ მიზნით, ჩვენ გავაღრმავეთ თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან, დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.

ბუნებრივია, ეს არაა საკმარისი. ამიტომ ჩვენ მუდმივად ვვითარდებით, რათა მაქსიმალურად მივუახლოვდეთ დასავლურ სტანდარტებს და ჯეროვნად გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს.

ჩემთვის მთავარი მონაპოვარი ისაა, რომ საქართველოს პოლიცია, როგორც არასდროს, არის საზოგადოებაზე ორიენტირებული. 2012 წლის შემდეგ პოლიცია გახდა სრულიად აპოლიტიკური, რაც სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებაა.

დიახ, მე და თქვენ ვართ საქართველოს და მისი ყველა მოქალაქის პოლიციელი - მიუხედავად რასისა, სქესისა, ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა სახის კუთვნილებისა.

მსურს, ეს გახსოვდეთ და ყოველთვის ამაყობდეთ ამით!

- განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამართალდამცავებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და პროფესიული დღე მიულოცა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შს სამინისტროს გამორჩეულ თანამშრომლებს, სამსახურეებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის, ვადამდელი წოდება მიანიჭა და სამკერდე ნიშნები და მადლობის სიგელები პირადად გადასცა.

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე შს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულმა დანაყოფმა პირადი შემადგენლობა ტექნიკითა და აღჭურვილობით წარმოადგინა.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასასრულს, დამსწრე საზოგადოების წინაშე ვაჟთა გუნდი „მართვე“ და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ წარდგნენ.

03

„112"-ის ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა

2016 წლის 23-24 ივნისს, შსს სსიპ „112"-ის ინიციატივით, ფართომასშტაბიან საგანგებო სიტუაციებში ოპერირების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით ჩატარდა.

ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე დავით ვარდიაშვილი, „112"-ის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. სემინარზე მოწვეული იყვნენ ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, დიდი ბრიტანეთიდან, ფინეთიდან, ესტონეთიდან, ლიტვიდან, რუმინეთიდან, ბელგიიდან და საფრანგეთიდან.

კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე შტეფენ შთორქი და ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) პრეზიდენტი დემეტრიოს პიროსი.

მოწვეულმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესების, ფართომასშტაბიან შემთხვევებში მოსახლეობის ინფორმირების, ქოლ-ცენტრის მოწყობისა და მომიჯნავე სამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საჯარო უწყებების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ.

კონფერენციის ფარგლებში, სტუმრებმა „112"-ის ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ, ასევე, ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს დააკვირდნენ.

04

შსს-მ სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების ფორუმი გამართა

2016 წლის 22 ივნისს შსს-ს აკადემიაში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 13 უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის 200-მდე სტუდენტს, შსს-ს აკადემიაში გამართულ კარიერული განვითარების ფორუმზე უმასპინძლა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტმა, მათ შორის შსს სსიპ „112“-მა.

შსს-ს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა სტუდენტებს ინფორმაცია კონკრეტული სამსახურის საქმიანობისა და არსებული ვაკანსიების შესახებ მიაწოდეს.

ფორუმის მიზანს უწყების მუშაობის შესახებ სტუდენტების ინფორმირება და კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა წარმოადგენდა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და მთავრობის სხვა წევრები ესწრებოდნენ.

კარიერული განვითარების ფორუმი შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოველწლიურად გაიმართება.

დაიწყე
კარიერა
შსს-ში
ინიციატორი
112
ინიციატივა
ინიციატორი
პოლიციის
ადგილი

112

05

„კოსმიური ხომალდის" წევრები სტუმრად „112"-ში



2016 წლის 20 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, შსს სსიპ „112"-ის ინოვაციური პროექტის „კოსმიური ხომალდის" გამარჯვებული ბავშვები „112"-ს ესტუმრნენ.

საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, ბავშვებმა მოისმინეს პრეზენტაცია „112"-ის შესახებ და კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღეს ინფორმაცია, თუ რა დროს უნდა დარეკონ გადაუდებელი დახმარების ნომერზე, როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან და რა სანქციები არსებობს ცრუ და არამიზნობრივი ზარის განხორციელების შემთხვევაში. „112-ის კოსმიური ხომალდის" წევრებმა დაათვალიერეს ქოლ-ცენტრი და გაეცნენ რეალურ სამუშაო პროცესს.

შეხვედრის დასასრულს, ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

შეგახსენებთ, რომ 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112" წარმოდგენილი იყო ინოვაციური საბავშვო პროექტით - „კოსმიური ხომალდი". „112"-ის მთავარი გზავნილები ბავშვებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიეწოდათ. კერძოდ, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობით მათ შეძლეს გამხდარიყვნენ „112-ის კოსმიური ხომალდის" წევრები. გამარჯვებულებს კი გადაეცათ სპეციალური საშვი, რომლითაც „112"-ში სტუმრობის უფლება მიეცათ.

ეს საინტერესოა...

06

ბოსტონის აფეთქებებში ეჭვმიტანილი პირები iRobot-ის დახმარებით დააკავეს



ბოსტონში გამართული საერთაშორისო მარათონის დროს მომხდარი აფეთქებების ორგანიზებაში ეჭვმიტანილების დაკავება პოლიციამ დრონის დახმარებით მოახერხა.

დამნაშავეები ჩეჩენი ძმები აღმოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანი დაკავებისას, სროლის დროს დაიღუპა, მეორემ მიმალვა შეძლო, თუმცა მცირე ხნით... დაჭრილი ტერორისტი მდინარის ნაპირთან მიბმულ ნავში დაიმალა, თუმცა კომპანია iRobot-ის დრონმა შეძლო მისი ადგილსამყოფელის დადგენა, მივიდა ნავთან, ტენტი გადაწია და ნავის ფსკერზე დამალული დამნაშავე პოლიციელებმა დააკავეს.





07

რობოტი C.R.A.B.

ბრიტანელი მეცნიერები მუშაობენ რობოტის C.R.A.B. (Cybernetic Remote Autonomous Barricade) შექმნაზე, რომელიც შეძლებს მარტო გაუმკლავდეს დამნაშავეებს მასობრივი არეულობების დროს. რობოტის შექმნის აუცილებლობა, აღნიშნული ტიპის შემთხვევების დროს დიდმა ადამიანურმა მსხვერპლმა და რეაგირების ოპერატიულობის გაზრდის აუცილებლობამ გამოიწვია.

რობოტი რვაფეხას ფორმისაა, მისთვის ადვილია ყველანაირი რელიეფის დაძლევა და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა. რობოტი შეიარაღებულია, თუმცა იარაღი სასიკვდილო არ არის. მანქანა ხელოვნური ინტელექტით იმართება და თვითონ „წყვეტს“ როგორ მოიქცეს კონკრეტულ სიტუაციაში.

დრონი C.R.A.B. რეაგირებს სამართალდარღვევის ნებისმიერ გამოვლინებაზე, იმ ადამიანებს კი, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, შეუძლია ფიზიკური ზიანიც მიაყენოს.

კონსტრუქტორ-დიზაინერი ჯეიმს მარტინი, უკვე რამდენიმე წელია მუშაობს C.R.A.B.-ის პროექტზე. ბრიტანეთის მთავრობა მზადაა ითანამშრომლოს რობოტის დამპროექტებლებთან და შეიძინოს ის დიდ ბრიტანეთში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

08

თერაპევტი ძაღლები ორლანდოს ტერაქტში დაზარალებულებს დაეხმარნენ

2016 წლის 12 ივნისს, ორლანდოში 29 წლის ავღანური წარმოშობის ამერიკელმა, ომარ მატინიმ, ღამის კლუბს ცეცხლი გაუხსნა. 49 ადამიანი დაიღუპა, კლუბის 53 სტუმარი დაიჭრა. თავდამსხმელი აყვანის ოპერაციის დროს მოკლეს.

თორმეტმა ოქროსფერმა რეტრივერმა ფსიქოლოგიური დახმარება გაუწია ორლანდოში, ღამის კლუბში თავდასხმის დროს დაზარალებულებს. ძაღლები იყვნენ საავადმყოფოებში და ეკლესიებში, სადაც მათთან დაჭრილები, მსხვერპლთა ოჯახები და სასწრაფოს პერსონალი ურთიერთობდა.

- „ადამიანები საწოლიდან ვერ დგებოდნენ, ამიტომ ჩვენ მათ ძაღლები მივუყვანეთ. ისინი წოლით მდგომარეობაში ურთიერთობდნენ მათთან, ნელ-ნელა შეძლეს ღიმილი, ზოგ შემთხვევაში საუბარიც კი“,- ამბობს საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი ტიმ ხეტცნერი.

სწორედ ამ ფონდის სახსრებით არსებობს K-9 Comfort Dogs-ის გუნდი, რომლის წევრებიც აღნიშნული ცხოველებიც არიან.

ოქროსფერი რეტრივერი - აშშ-ში პოპულარობით მესამე ადგილზეა. ამ ჯიშის ძაღლები მეგობრული და ენერგიული ცხოველები არიან, რაც მათ განსაკუთრებულ სიტუაციებში მუშაობის, ასევე ადამიანების მკურნალობა-რეალიბილიტაციის დროს დახმარების საშუალებას აძლევს.



იცოდით, რომ...

09

7 წლის გოგონამ 911-ზე დარეკვით მამა გადაარჩინა

აშშ-ში, მერილენდის შტატში, 7 წლის ჯენა გმირად დაასახელეს, რადგან მან 911-ზე დარეკა და დიაბეტიან მამას დახმარება დროულად აღმოუჩინა.

2016 წლის 28 თებერვალს, გოგონას მამამ გონება დაკარგა, რადგან სისხლში შაქრის დონე კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ დაეცა. ჯენა მარტო იყო სახლში მამასთან ერთად, ამის მიუხედავად, ის არ დაიბნა და მაშინვე 911-ზე დარეკა.

ბავშვმა ოპერატორს სწორად მიაწოდა ინფორმაცია. ოპერატორის თხოვნით ის ხაზზე იყო, სანამ სასწრაფო დახმარების ბრიგადა არ მივიდა მათთან.

- „ის არაჩვეულებრივი ბავშვია, მან იცის როგორ უნდა დარეკოს 911-ზე და სწორად მიაწოდოს ოპერატორს ინფორმაცია. ჯენამ თავისი საქციელით გადარჩინა მამის სიცოცხლე!“- განუცხადა ABC NEWS-ს 911-ის დეპარტამენტმა.

ჯენას დედამ კი განაცხადა, რომ ის ძალიან ამაყობს თავისი შვილით. ჯენასთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მან სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა.

წყარო: www.abcnews.go.com

10

ბავშმა 911-ზე დარეკა, რადგან ის სახლში მარტო დატოვეს

ოჰაიოს შტატში პოლიციამ ბრალი წაუყენა დედას, რომელმაც შვილები მარტო დატოვა სახლში, თვითონ კი ბარში წავიდა.

მომხდარი ფაქტის შესახებ პოლიციამ მას შემდეგ გაიგო, როდესაც ერთ-ერთმა ბავშვმა 911-ზე დარეკა, გამთენიის 4:30 საათზე.

პოლიციის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე მისულებმა აღმოაჩინეს, რომ სახლში სამი მცირეწლოვანი - 2, 3 და 10 წლის ბავშვი მარტო ყავდა დედას დატოვებული.

დედის განცხადებით ის ახლოს მდებარე ბარში იმყოფებოდა მეგობრის დასახმარებლად, რომელიც ნასვამი იყო და ბავშვები მხოლოდ ერთი საათით დატოვა მარტო.

პოლიციამ მას ბრალი წაუყენა, ბავშვებისთვის საფრთხის შემქმნელ სიტუაციაში მარტო დატოვების გამო.

წყარო: www.newsnet5.com



№34
ივნისი, 2016

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

№34, ივნისი, 2016